“ენძელას“ თასზე

საწვრთნელი მატჩის ფარგლებში

თბილისის „დინამოს“ სტადიონი. 25 თებერვალი.

„დინამო“ (თბილისი) – „ტორპედო“ (ქუთაისი) 1:1 (1:1).

„დინამო“: კუტივაძე, პეტრიაშვილი, ილიადი (ქიქავა), ჭელიძე, კანთელაძე (შერგელაშვილი), ძოძუაშვილი, პეტრიაშვილი, კოტრიკაძე, მეტრეველი, გავაშელი (ქორიძე), მესხი (ლ. ნოდია).

„ტორპედო“ ნარსია, ლოსაბერიძე, წივწივაძე, ებრალიძე, ჩხაიძე, წვერავა, ერქომაიშვილი (ჭელიძე), ასიტაშვილი, ვეკუა, ხაჟალია, ხერხაძე (ნაჭყებია).

მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

ჩვენი რესპუბლიკის ორი გუნდის კალენდარულ შეხვედრას „ენძელას“ პრიზზე ტიპიური საწვრთნელი მატჩის ხასიათი ჰქონდა. არც თბილისელები, არც ქუთაისელები მაინცდამაინც არ ცდილობდნენ მოგებისათვის ეთამაშათ. ბურთი უმთავრესად შუა მინდორში ტრიალებდა, თავდამსხმელები არც ჩქარობდნენ შეტევის განვითარებას და სიმწვავესაც ნაკლებად ქმნიდნენ მეტოქის კართან. მართალია, პირველ ტაიმში იყო რამდენიმე გამონაკლისი, როცა თავდამსხმელებმა ნამდვილად გამოიჩინეს თავიანთი „ბრჭყალები“ და იერიშს შესაფერისი დაბოლოება მისცეს. რაც შეეხება მეორე ტაიმს, იგი მიმდინარეობდა სავსებით „მშვიდობიანად“, ვიმეორებთ, წმინდა საწრთვნელი ინტერესების ნიშნით.

რა შეიძლება ითქვას მეტოქეთა მომზადების სადღეისო დონეზე? დინამოელები, ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ შორს არიან თავიანთი საბრძოლო ფორმისაგან, ცალკეული მოთამაშეები კი ფორსირებული ტემპით საჭიროებენ მზადების გავლას, ქუთაისელთა მიმართ პრეტენზიები ნაკლები გვაქვს, თუმცა მაინც უნდა გაითვალისწინონ, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე ბევრი დრო აღარაა დარჩენილი.

ორივე ბურთი დაცვის ხაზების შეცდომის შედეგი იყო. ჯერ, მე–14 წუთზე კანთელაძემ თავით მოიგერია ერქომაიშვილის მიერ საჯარიმო მოედნის ცენტრში მოწოდებული ბურთი, მაგრამ „მოიგერია“ კოტრიკაძისგან ღიად დარჩენილ შორეულ კუთხეში, როცა მეკარე, ბუნებრივია, ამას სულ არ ელოდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ასეთივე ამბავი მოხდა „ტორპედოს“ საჯარიმო მოედანზე. მესხმა მარცხენა ფრთიდან დაკიდა ბურთი კართან, ნარსიამ უხეიროდ შეარჩია ადგილი კარში, ვერ მისწვდა მაღალ კუთხეს და ანგარიში გათანაბრდა.

მეორე ტაიმში ანგარიში არ შეცვლილა და მეტოქეებმა სატურნირო ცხრილში თითო ქულა ჩაიწერეს. ქუთაისის „ტორპედო“ საწვრთნელ ბაზას დაუბრუნდა ლესელიძეში. ხოლო თბილისის „დინამო“ შავი ზღვის სანაპიროზე გაემგზავრა მას შემდეგ, რაც 29 თებერვალს შინ ეთამაშება მოსკოვის „ტორპედოს“.

რ. ქორიძე.

„ლელო”, 27.02 .1968 წ.